ტურიზმის კვარტალური მიმოხილვა

საქართველო

ტურიზმის ინდიკატორები 2024 წელს

PMG Research

გამოცემა 5 | მარტი, 2025

შინაარსი

შეჯამება

საერთაშორისო ტურიზმი 4

შიდა ტურიზმი 6

გამყვანი ტურიზმი 7

ეკონომიკური ინდიკატორები HORECA სექტორში 8

შეჯამება

- **2024 წელს საქართველოში საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობამ 6.5 მილიონი შეადგინა,** რაც 4.6%-ით აღემატება 2023 წლის მაჩვენებელს, მაგრამ პანდემიამდელი დონის მხოლოდ 83.6%-ს შეადგენს. დაბალი ზრდა ძირითადად ერთდღიანი ვიზიტების შემცირებას უკავშირდება (-9.2%), ვინაიდან ტურისტული ვიზიტები 9.0%-ით არის გაზრდილი.
- **2024 წელს საქართველოში ყველაზე მეტი ვიზიტი რუსეთიდან (22.0%), თურქეთიდან (20.7%) და სომხეთიდან (14.7%) განხორციელდა.** თურქეთიდან და სომხეთიდან განხორციელებული ვიზიტები წინა წელთან შედარებით შემცირდა, ხოლო რუსეთიდან განხორციელებული ვიზიტები მცირედით გაიზარდა.
- **იმ 15 ქვეყნიდან, საიდანაც 2024 წელს ყველაზე მეტი ვიზიტი განხორციელდა, წინა წელთან შედარებით ყველაზე მაღალი ზრდის ტემპი ჰქონდა ჩინეთს,** საიდანაც ვიზიტების რაოდენობა თითქმის გაორმაგდა. ასევე ვიზიტების მაღალი ზრდა შეიმჩნეოდა ინდოეთიდან და ისრაელიდან. ხოლო ვიზიტებმა პოლონეთიდან (-27.1%) და უკრაინიდან (-19.3%) ყველაზე მეტად დაიკლო.
- **2024 წელს საქართველოში ევროკავშირიდან და დიდი ბრიტანეთიდან განხორციელებულმა ვიზიტებმა 438,414 შეადგინა (საერთო ვიზიტების 6.8%), რაც წინა წელთან შედარებით 3.8%-ით გაზრდილი მაჩვენებელია.** თუმცა, 2024 წლის პირველი კვარტლის შემდეგ ევროკავშირიდან და დიდი ბრიტანეთიდან განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა ყოველ კვარტალში შემცირდა. ყველაზე მეტი ვიზიტი კი გერმანიიდან (17.9%) და პოლონეთიდან (15.2%) განხორციელდა.
- **2024 წელს საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებულმა შემოსავალმა 4.4 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწია, რაც წინა წელთან შედარებით 7.3%-ით მეტია.** ყველაზე მაღალი იყო რუსეთის (19.2%), თურქეთის (13.8%) და ევროკავშირის ქვეყნებისა და დიდი ბრიტანეთის (12.9%) მოგზაურებისგან მიღებული შემოსავალი. გარდა ამისა, ერთ ვიზიტზე მიღებული შემოსავლის მიხედვით ევროკავშირი და დიდი ბრიტანეთი პირველ სამეულშიც მოხვდა (ვიზიტზე 1,303 აშშ დოლარი) ისრაელისა (1,404 აშშ დოლარი) და საუდის არაბეთის (1,382 აშშ დოლარი) შემდეგ.
- **2024 წელს შიდა ვიზიტების რაოდენობამ 19.7 მილიონს მიაღწია, რაც მცირედით, 2.5%-ით მეტია წინა წელთან შედარებით.** აღსანიშნავია, რომ 2024 წლის III და IV კვარტლებში შიდა ვიზიტები შემცირდა. თუმცა შიდა ვიზიტორების მთლიანმა დანახარჯებმა 3.6 მილიარდ ლარს მიაღწია, რაც წინა წელთან შედარებით 7.9%-ით გაზრდილი მაჩვენებელია.
- **2024 წელს საქართველოს რეზიდენტების მიერ განხორციელებული გასვლითი ვიზიტების რაოდენობამ 2.2 მილიონი შეადგინა,** რაც მცირედით, 0.1%-ით მეტია წინა წელთან შედარებით. აღსანიშნავია, რომ 2024 წლის III და IV კვარტლებში გასვლითი ვიზიტების რაოდენობა შემცირდა.
- **2024 წელს საქართველოს რეზიდენტების 37.4%-მა დანიშნულების ადგილად აირჩია თურქეთი, რომელსაც მოსდევდა რუსეთი (18.3%), ევროკავშირი და დიდი ბრიტანეთი (16.3%) და სომხეთი (12.1%).** თურქეთსა (-13.7%) და სომხეთში (-19.3%) განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა 2023 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირდა, ხოლო რუსეთში (+45.6%), ევროკავშირსა და დიდ ბრიტანეთსა (+13.9%) და აზერბაიჯანში (11.3%) - გაიზარდა.

საერთაშორისო ტურიზმი





- **2024 წელს საქართველოში საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობამ 6.5 მილიონი შეადგინა, რაც მცირედით აღემატება (4.6%) 2023 წლის მაჩვენებელს.** შესაბამისად, 2024 წელს განხორციელებული საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობა ჯერ კიდევ ჩამორჩება პანდემიამდელ დონეს და 2019 წლის მთლიანი რაოდენობის 83.6%-ს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო ვიზიტების დაბალი ზრდა ძირითადად ერთდღიანი ვიზიტების შემცირებას უკავშირდება (-9.2%), ხოლო ტურისტული ვიზიტები 9.0%-ით არის გაზრდილი.

- **2024 წელს საქართველოში ყველაზე მეტი ვიზიტი რუსეთიდან განხორციელდა (ვიზიტების საერთო რაოდენობის 22.0%).** მას მოსდევდა თურქეთი (20.7%) და სომხეთი (14.7%). 2023 წელთან შედარებით, მცირედით გაიზარდა რუსეთიდან (0.2%-ით), ხოლო შემცირდა თურქეთიდან (4.3%-ით) და სომხეთიდან (1.5%-ით) განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა.

- **იმ 15 ქვეყნიდან, საიდანაც 2024 წელს ყველაზე მეტი ვიზიტი განხორციელდა, წინა წელთან შედარებით ყველაზე მაღალი ზრდის ტემპი ჰქონდა ჩინეთს, საიდანაც ვიზიტების რაოდენობა თითქმის გაორმაგდა და 88.6 ათასს მიაღწია.** ასევე ვიზიტების მაღალი ზრდა შეიმჩნეოდა ინდოეთიდან და ისრაელიდან. ხოლო ვიზიტებმა პოლონეთიდან (-27.1%) და უკრაინიდან (-19.3%) ყველაზე მეტად დაიკლო.

- **2024 წელს საქართველოში ევროკავშირიდან და დიდი ბრიტანეთიდან განხორციელებულმა ვიზიტებმა 438,414 შეადგინა (საერთო ვიზიტების 6.8%), რაც 3.8%-ით აღემატება 2023 წლის მაჩვენებელს.** თუმცა 2024 წლის პირველი კვარტლის შემდეგ ევროკავშირიდან და დიდი ბრიტანეთიდან განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა ყოველ კვარტალში შემცირდა. ევროკავშირის ქვეყნებიდან და დიდი ბრიტანეთიდან საქართველოში ყველაზე მეტი ვიზიტი კი გერმანიიდან (17.9%) და პოლონეთიდან (15.2%) განხორციელდა.

წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

საერთაშორისო ტურიზმი





- **2024 წელს საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებულმა შემოსავალმა 4.4 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწია,** რაც 2023 წელთან შედარებით 7.3%-ით გაზრდილი მაჩვენებელია.
- **2024 წელს ყველაზე მაღალი იყო რუსი მოგზაურებისგან მიღებული შემოსავალი (მთლიანი შემოსავლის 19.2%). მას მოსდევდა თურქეთი (13.8%) და ევროკავშირი და დიდი ბრიტანეთი (12.9%).** თუმცა ერთ ვიზიტზე მიღებული შემოსავლის მიხედვით ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ისრაელს (ვიზიტზე 1,404 აშშ დოლარი), საუდის არაბეთს (1,382 აშშ დოლარი) და ევროკავშირსა და დიდ ბრიტანეთს (1,303 აშშ დოლარი) ჰქონდათ.

- **2024 წელს საერთაშორისო ვიზიტორებმა ყველაზე მეტი დახარჯეს განთავსებასა (მთლიანი დანახარჯების 33.7%) და საყიდლებში (24.1%).** აღსანიშნავია, რომ 2024 წელს განთავსების წილი შემცირდა (2.7 პროცენტული პუნქტით (პპ)), ხოლო საკვებისა და სასმლის, ასევე, გასართობი, გამაჯანსაღებელი, კულტურული და სპორტული ღონისძიებების წილი 0.8 პპ-ით გაიზარდა.

* საქართველოს ეროვნული ბანკის შეფასებით, 2024 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით, ბელარუსის მოქალაქეების 26.7%, რუსეთის მოქალაქეების 19.8% და უკრაინის მოქალაქეების 22.9% შეფასებულია 1 წელზე მეტი ვადით მყოფად, ან საქართველოში 1 წელზე მეტი ვადით დარჩენის მსურველად. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მეთოდოლოგიის მიხედვით, ისინი განიხილებიან საქართველოს რეზიდენტებად და მათი დანახარჯები საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებული შემოსავლის გამოთვლებში არ შედის.

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

შიდა ტურიზმი

შიდა ვიზიტების რაოდენობა (2022 კვ. I - 2024 კვ. IV)



შიდა ვიზიტორების განაწილება ვიზიტის მიზნის მიხედვით (2024 წელი)



- **2024 წელს შიდა ვიზიტების რაოდენობამ 19.7 მილიონს მიაღწია, რაც მცირედით, 2.5%-ით მეტია 2023 წლის მაჩვენებელთან შედარებით.** აღსანიშნავია, რომ 2024 წლის III და IV კვარტლებში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შიდა ვიზიტები შემცირდა 0.4%-ით და 2.1%-ით, შესაბამისად.
- **შიდა ვიზიტორთა განაწილება მონახულებული რეგიონების მიხედვით 2024 წელს 2023 წლის მსგავსია.** შიდა ვიზიტორებისთვის ძირითადი დანიშნულების ადგილი იყო თბილისი (მთლიანი ვიზიტების 22.3%), რასაც მოსდევდა იმერეთი (18.9%) და აჭარა (10.7%).
- **2024 წელს შიდა ვიზიტების უმთავრესი მიზანი იყო მეგობრებისა და ნათესავების მონახულება (მთლიანი ვიზიტების 47.9%), რასაც მოსდევდა საყიდლები (14.6%) და რეკრეაცია (10.6%).** აღსანიშნავია, რომ 2024 წელს წინა წელთან შედარებით საყიდლების წილი 3.0 პპ-ით შემცირდა.
- **2024 წელს შიდა ვიზიტორების მთლიანმა დანახარჯებმა 3.6 მილიარდ ლარს მიაღწია, რაც 7.9%-ით მეტია 2023 წლის მაჩვენებელთან შედარებით.** დანახარ-ჯების განაწილება წინა პერიოდების მსგავსია, კერძოდ, ყველაზე დიდი ადგილი უკავია საყიდლების (35.7%), საკვებისა და სასმლის (24.8%) და ტრანსპორტის (20.1%) დანახარჯებს.

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

გამყვანი ტურიზმი

საქართველოს რეზიდენტების მიერ საზღვარგარეთ განხორციელებული ვიზიტები (2022 კვ. I - 2024 კვ. IV)



გასვლითი ვიზიტები ქვეყნების მიხედვით (2024 წელი)



- **2024 წელს საქართველოს რეზიდენტების მიერ განხორციელებული გასვლითი ვიზიტების რაოდენობამ 2.2 მილიონი შეადგინა, რაც მხოლოდ მცირედით, 0.1%-ით მეტია 2023 წლის მაჩვენებელთან შედარებით.** აღსანიშნავია, რომ 2024 წლის III და IV კვარტლებში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გასვლითი ვიზიტების რაოდენობა შემცირდა 6.8%-ით და 7.4%-ით, შესაბამისად.
- **2024 წელს საქართველოს რეზიდენტების 37.4%-მა დანიშნულების ადგილად აირჩია თურქეთი, რომელსაც მოსდევდა რუსეთი (18.3%), ევროკავშირი და დიდი ბრიტანეთი (16.3%) და სომხეთი (12.1%).** აღსანიშნავია, რომ თურქეთსა (-13.7%) და სომხეთში (-19.3%) განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა 2023 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირდა, ხოლო რუსეთში (+45.6%), ევროკავშირსა და დიდ ბრიტანეთში (+13.9%) და აზერბაიჯანში (11.3%) განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა გაიზარდა.
- **გამსვლელი ვიზიტორების დანახარჯებმა 2024 წელს 2.3 მილიარდ ლარს მიაღწია, რაც 11.3%-ით მეტია 2023 წლის მაჩვენებელთან შედარებით.** დანახარჯების უდიდესი ნაწილი საყიდლებს (38.1%), საკვებსა და სასმელს (27.0%) და განთავსებას (15.9%) უკავია.
- **2024 წელს საქართველოს მოქალაქეების გასვლითი ვიზიტების უმთავრესი მიზანი იყო მეგობრების ან ნათესავების მონახულება (მთლიანი ვიზიტების 33.4%) და, ასევე, საყიდლები (33.1%).** აღსანიშნავია, რომ 2023 წელთან შედარებით 4.5 პპ-ით გაიზარდა იმ ვიზიტორთა წილი, რომელთა მთავარ მიზანსაც რეკრეაციული ვიზიტები წარმოადგენდა, ხოლო იმ ვიზიტორთა წილი, რომელთა მთავარ მიზანსაც საყიდლები და პროფესიული საქმიანობა წარმოადგენდა, შემცირდა 2.3 პპ-ით და 2.1 პპ-ით, შესაბამისად.

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ეკონომიკური ინდიკატორები HORECA სექტორში

მთლიანი შიდა პროდუქტი HORECA სექტორში



პირდაპირი უცხოური ინვესტიციები HORECA სექტორში



ინვესტიციები HORECA სექტორში 2023 წელს ქვეყნების მიხედვით



HORECA სექტორის ბრუნვა



დასაქმება HORECA სექტორში



ნომინალური საშუალო ყოველთვიური ანაზღაურება HORECA სექტორში



* მონაცემები წინასწარია და დაზუსტდება მოგვიანებით.

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სამართლებრივი შეტყობინება

ვებგვერდზე წარმოდგენილი პუბლიკაციები მომზადებულია პოლიტიკის და მართვის კონსალტინგ ჯგუფის (PMCG) მიერ მხოლოდ საინფორმაციო და/ან მარკეტინგული მიზნებისთვის. პუბლიკაციებში ასახული ინფორმაცია წარმოადგენს მხოლოდ რჩევას და, შესაბამისად, მკითხველი თავად არის პასუხისმგებელი შინაარსის ნებისმიერ ინტერპრეტაციაზე. PMCG არ იღებს პასუხისმგებლობას მკითხველის მიერ მასალების გამოყენების შედეგად წარმოშობილ პრეტენზიებზე. პუბლიკაცია წარმოდგენილია ისე, „როგორც არის“, ყოველგვარი გამოხატული ან ნაგულისხმევი რეპრეზენტაციისა და გარანტიის გარეშე.

ზემოთ მოყვანილი აბზაცის ზოგად გზავნილთან წინააღმდეგობის გარეშე, PMCG არ იძლევა გარანტიას, რომ:

- პუბლიკაცია მუდმივად ხელმისაწვდომი იქნება;
- რომ პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია არის სრული, ჭეშმარიტი, ზუსტი ან არ არის შეცდომაში შემყვანი.

PMCG იტოვებს უფლებას, დროდადრო შეცვალოს პუბლიკაციების შინაარსი ისე, როგორც ამას მიზანშეწონილად ჩათვლის.

PMCG თავიდან იხსნის სხვა მხარეების უფლებების დარღვევასა ან PMCG-ის პუბლიკაციების გამოყენების შედეგად გამოწვეულ ნებისმიერ ზიანზე ყოველგვარ პასუხისმგებლობას. PMCG-ს არ აქვს მკითხველის წინაშე პასუხისმგელობის ვალდებულება (კონტრაქტის კანონით, დელიქტური კანონით თუ სხვაგვარად) პუბლიკაციის შინაარსთან, გამოყენებასა ან პუბლიკაციასთან კავშირის ნებისმიერ სხვა ფორმასთან დაკავშირებით.

მკითხველი აღიარებს, რომ როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის სუბიექტი, PMCG დაინტერესებულია, შეზღუდოს თავისი ოფიცრებისა და თანამშრომლების პირადი პასუხისმგებლობა. მკითხველი თანხმდება, რომ მისთვის პუბლიკაციით გამოწვეული ნებისმიერ დანაკარგის შესახებ პრეტენზიებს არ წამოუყენებს პირადად PMCG-ის ოფიცრებს ან თანამშრომლებს.

მკითხველი თანხმდება, რომ გარანტიებისა და ვალდებულებების შეზღუდვები, რომლებიც მითითებულია ამ სამართლებრივ შეტყობინებაში, იცავს PMCG-ის მკვლევრებს, ოფიცრებს, თანამშრომლებს, აგენტებს, შვილობილ კომპანიებს, მემკვიდრეებს, უფლებამოსილ პირებს და ქვეკონტრაქტორებს, ისევე როგორც თავად PMCG-ს.

თუ ამ სამართლებრივი შეტყობინების რომელიმე დებულება მოქმედი კანონმდებლობით არის ან აღმოჩნდება არ აღსრულებადი, ეს არ იმოქმედებს პუბლიკაციის სხვა დებულებების აღსრულებადობაზეც.

გიორგი ხიშტოვანი
კვლევითი დირექტორი
g.khishtovani@pmcginternational.com

გუგულა ცუხიშვილი
უმცროსი მკვლევარი
g.tsukhishvili@pmcginternational.com

მარიამ ჯიქია
უმცროსი მკვლევარი
m.jikia@pmcginternational.com

ამირან კვანტალიანი
ეკონომიკის ანალიტიკოსი (საკონტაქტო პირი)
a.kvantaliani@pmcginternational.com

მის.: 61 აღმაშენებლის გამზირი, მე-3 სართული, თბილისი, 0102, საქართველო.
ტელ: (+995 32) 557 170 660
ელ. ფოსტა: research@pmcginternational.com
ვებსაიტი: pmcg-i.com